ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში2021 წლის გაწეულიმუშაობის შესახებ

მოგესალმებით ონელებო.....

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ინფორმაციას ონის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში, 2021 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ. სრულყოფილად წარმოგიდგენთ, თუ რა სამუშაოები გავწიეთ და რა სახის პროექტები განვახორციელეთ.

ბოლო წლებში როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, სასიკეთო ცვლილებები თითქმის ყველა სფეროს შეეხო, თუმცა ეს წელი იყო გამოწვევების წელიც. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიუხედავად 2021 საანგარიშო წელი მუნიციპალიტეტის მერიაში გარკვეულწილად წარმატებით მიმდინარეობს. თუმცა, პრობლემები ისევ მრავლადაა. ეტაპობრივად ყველაფერი კეთდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასუმჯობესებლად. ხელისუფლების მხარდაჭერით და ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, სოციალური და ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები და პროექტები.

ძვირფასო რაჭველებო!

მოგეხსენებათ, 2021 წლის 2 ოქტომბერს ძალიან მნიშვნელოვანი დაგადამწყვეტი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩავატარეთ სამართლიან და უსაფრთხო გარემოში. მადლობა, თითოეულ თქვენგანს, გვერდში დგომისა დამხარდაჭერისთვის, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვისა და ნდობისათვის. მჯერა, რომ მონდომებით და შრომით კიდევ ბევრი პროექტი თუ პროგრამა განხორციელდება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

- **საფინანსო საბიუჯეტო სამსახური**

ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 5 220 800 ლარს, წლის განმავლობაში სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით და ანგარიშზე არსებული 2021წ. 1 იანვრის ნაშთით გაიზარდა 17 445 395 ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 22 666 195 ლარი, რაც გასული 2020 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილი იქნა 3 608 000 ლარით 19%-ით. 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტიდან 79% მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები განსაზღვრული იყო:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

2. განათლება;
3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
5. მმართველობა და თავდაცვა.

- **ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის მიერ**

გამოცხადდა და დასრულდა ტენდერები, მომსახურებასა და სამუშაოებზე ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით, კერძოდ:

- ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები (მე-3) ეტაპი.
- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტში სოფელ შარდომეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (სახელმწიფო გზიდან შ-16 სოფელ შარდომეთამდე (შპს „ბლაუნშტაინ საქართველო"-ს ფერმებამდე)).
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლაში საჯარო სკოლის დაზიანებული ოთახების (იატაკი,კარ-ფანჯარა, ჭერი, სახურავი) სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარში საჯარო სკოლის დაზიანებული მონაკვეთების (იატაკი,კარ-ფანჯარა, სველი წერტილი) რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელება (სოფელ ღებში მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირება და ნაპირსამაგრის მოწყობა, დაზიანებული გზის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები).
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშოები (ასფალტო-ბეტონი)
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთი - ჟაშქვის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო.სამუშაოები (ცემონტ-რკინა-ბეტონი) (I ეტაპი) (500 მეტრი)).

დასრულდა 2020 წელს28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დეტალური პროექტის მომზადება და მოზადებული დეტალური პროექტის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოებზე ქ. ონში და სოფლებში: უწერა, ფარავნეში, ნიგავზებში, ნაკიეთში, ღარში, ნიგვზნარაში, წედისი, ქვედი, ქვედრულა, ჟაშქვა, პიპილეთი, გომი, ჯინჭვისი, სორგითი, ლაგვანთა, საკაო, მაჟიეთი, ხიდეშლები.

2020 წლიდან მოყოლებული მიმდინარე სამუშაოებია:

- ქ. ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
- 2020 წელს 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები სოფლებში: გონა, დიდი ღები, პატარა ღები, ჭიორა, გლოლა.
- 2020 წელს 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები სოფლებში: ჯოისუბანი, შარდომეთი, სევა, ახალი ჩორდი, ფარახეთი, ზვარეთი, სორი და ბარი.

2021 წელს გრანტით/კრედიტით მიღებული საქონელი და სამუშაოებია:

- ქ. ონის შემოსასვლელთან არსებული კედლის მოხატვა, სეზონური დეკორატიული პავილიონიების, ტურისტული აბრების, ბილიკებისა და ხიდებზე დეკორატიული განათებისა და საყვავილის მოწყობის სამუშაოები.
- შესყიდვის ობიექტია ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი (მრავალფუქნციური ტრაქტორი (თანმდევი ექსპერტირებით)).
- ა(აიპ) ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლისთვის სპორტული ინვენტარის შეძენა.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი:

- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მრავალძალში სარიტუალო (საქორწილო) ღია გადმოსახედის მოწყობის სამუშაოები.

❖ **ეკონომიკის სამსახური**

ორიენტირებულია ინვესტიციების მოზიდვაზე. ონის მუნიციპალიტეტის მერიამ ითანამშრომლა ჩეხეთის რესპუბლიკის **კარიტასი** საქართველოში და სლოვაკური არასამთავრობო ორგანიზაცია **სოსნასთან,** რომლებმაც სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განახორციელეს პროექტი „მწვანე საქმიანობების მხარდაჭერა ონის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარების გზით". აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა სახელმძღვანელო დოკუმენტი **ონის მუნიციპალიტეტის ნარჩენების რეციკლირების მოდელი.** სეპარირების სისტემაზე გადასასვლელად აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადმოგვეცა ერთი ერთეული ნაგავმზიდი მანქანა, 135 ცალი 240 ლიტრიანი მეტალის ურნა და 60 ცალი 110 ლიტრიანი პლასმასის ურნა. აღნიშნული პროექტის ღირებულებამ შეადგინა **58 700** ევრო.

მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა **იაპონიის საელჩოს** მიერ გამოცხადებულ ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამაში, რომლის ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტს გადმოეცა ერთი ერთეული მძიმე ტექნიკა. გრანტის მოცულობამ შეადგინა 56 584 აშშ დოლარი.

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მიერ დაფინანსებული, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია **„მერსი ქორფსის" „კავკასიის ალიანსების პროგრამა"** ონის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ახალ მუნიციპალურ სერვის, რომელიც გულისხმობს ღია საინფორმაციო-საკონსულტაციო სივრცის **„ქალთა ოთახის"** შექმნას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გარემონტდება ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სველი წერტილები, სამკითხველო დარბაზი აღიჭურვება შესაბამისი ავეჯითა და ტექნიკით. გრანტის მოცულობა შეადგენს 42 000 ლარს.

სლოვაკეთის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ონის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა პროექტით **ფიტნეს დარბაზის აღჭურვა,** რომლის ფარგლებში ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლისათვის შეძენილი იქნება სპორტული ინვენტარი. გრანტის მოცულობა შეადგენს 40 000 ლარს.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში საგრანტო პროექტის „Covid-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით“ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

მოეწყო 4 სეზონური პავილიონი, რომელიც მეწარმეებს საშუალებას მისცემთ უზრუნველყონ საკუთარი ნაწარმის და ხელნაკეთი აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა სხვადასხვა ფესტივალის დროს. ასევე განხორციელდა ქ. ონის შემოსასვლელში კეთილმოწყობილი გადმოსახედის (ბელვედერის) მოხატვა. ქ. ონში შემოსასვლელი მთავარი ხიდის და მონუმენტის განათება. **განხორციელებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 27 233,90 ლარი.**

გამოცხადებულია ტენდერი **სოფ. მრავალძალში** სარიტუალო (საქორწილო) ღია გადმოსახედის მოწყობის სამუშაოებზე, რომლის ღირებულება განსაზღვრულია **46 425 ლარით.**

იგეგმება ქ. ონის შემოსასვლელი მთავარი ხიდის **დეკორატიული ყვავილებით** მორთვა, 4 **ტურისტული ბილიკის** მარკირება და სანიშნე აბრებზე 3-ენოვანი ინფორმაციის **მატარებელი QR კოდების** დატანა.

ასევე, **გიდების** ბაზაში აღრიცხული ადგილობრივებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების (მ.შ ინგლისური ენის სასწავლო კურსის) ორგანიზება.

აღნიშნული პროექტის ღირებულება შეადგენს **31 800 ლარს.**

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (**GIZ**) პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (GGLD) ფარგლებში, ონის მუნიციპალიტეტში დაიწყო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტი, რომლის მიზანიცაა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებით აღნიშნულ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა **7 ბენეფიციალმა,** გრანტის მოცულობამ შეადგინა **46 425 ლარი.**

პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2“ ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ხელშეწყობით მომზადდა ონის მუნიციპალიტეტის **საინვესტიციო პროფილი.**

მიმდინარე წლის ივნისის თვეში ონის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ (LDA Georgia), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (ADC) მხარდაჭერით განახორციელა გრანტს „რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის

მხარის განვითარების ინიციატივა“. გრანტის მიზანი იყო რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება და საზოგადოების სხვადასხვა აქტორის ჩართულობის უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავების პროცესში. გრანტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იყო **სამეწარმეო-საინვესტიციო რეგიონული ფორუმის მოწყობა**, რომლის მიზანია რეგიონის სამეწარმეო და საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.

- **განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური**

პანდემიის მიუხედავად, მოსახლეობა არ დაგვიტოვებია კულტურული მომსახურების გარეშე. გაიმართა რუსთაველის ეროვნული თეატრის სპექტაკლი „ჯილდო“, თავისუფალი თეატრის სპექტაკლი „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!“ ასევე მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა ორი სპექტაკლი გამართა: ,,ფიროსმანი“ და ,,მთავარი როლი“.

მუნიციპალიტეტის მერიის და შესაბამისი სამსახურის მხარდაჭერით ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში, დაიდგა პიტერ კიმერფელდის მიუზიკლის „აბრაამი და კარდუს“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი - „იქ ... მთებში სინაგოგაა“. სპექტაკლი დადგა ნიჭიერმა ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი გამყრელიძემ. სპექტაკლის დადგმა დააფინანსა ძნელაძეთა საგვარეულო ფონდმა „უშქარი“. გვახარებს, რომ პანდემიის მიუხედავად, სპექტაკლი რეგულაციების მკაცრი დაცვით მაინც გაიმართა. მაყურებელმა, იმედია ამ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის რეჟისორული საინტერესო ჩანაფიქრით, არაფრისგან შექმნილი ეფექტებით, სპექტაკლში მონაწილე სხვადასხვა თაობის სცენისმოყვარულთა მიერ გათამაშებული სცენებით სრული ესთეტიკური სიამოვნება მიიღო. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს ორი თვის მანძილზე გაწეული უანგარო შრომისათვის.

საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორც გასულ წელს, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების მხარდაჭერას. 2021 წელსაც გაგრძელდება ტრენინგები „ხელოვნებით თერაპიაში“. გადამზადდებიან პედაგოგები და მშობლები, ვისაც შემხეობა აქვს ინკლუზიურ განათლებასთან და ვისაც თავად ჰყავს შშმ და სსსშ ბავშვი და საჭიროებს სათანადო განათლების მიღებას. საამისოდ მუნიციპალიტეტის მიერ ტრენინგებისათვის გამოყოფილია 6920 ლარი.

ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ ონში სამეფო აკადემიის ფილიალი გაიხსნება. იდეა, რომელიც არაფრიდან დაიბადა, ახლო მომავალში ჩვენი ქალაქის განვითარების ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად შეიძლება იქცეს. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ სამეფო აკადემიის ონის ფილიალის ონის ფილიალის გახსნისთვის დანიის მთავრობის მიერ საწყის ეტაპზე გამოყოფილი იქნება 1 მილიონი დანიური კრონა. სამეფო აკადემიის შესაბამისი დელეგაცია ონს სამუშაო ვიზიტით ოქტომბრის ბოლოს ეწვევა, რა დროსაც განისაზღვრება სამეფო აკადემიის ონის ფილიალის დაფუძნებისთვის საჭირო ღონისძიებები. ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისთვის მიღებულ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ჩვენი ინტენსიური მოლაპარაკებები, როგორც ხსენებულ აკადემიასთან , ისე შესაბამის დონორ ორგანიზაციებთან. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დანიის სამეფოში საქართველოს საპატიო კონსულმა და რაჭის დიდმა მეგობარმა, ქალბატონმა მარიანა ბოლსმა.

საქართველოს სამუზეუმო ასოციაციების ქსელის (NEMO) და ნიდერლანდების კულტურის მენეჯმენტის აკადემიასთან პარტნიორობით ხორციელდება პროექტი „BE MUSEUMER".საქართველოს მუზეუმებიდან შერჩეული იქნა 11 მუზეუმი, მათ შორის ონის მუზეუმი. პროექტი ეტაპობრივად განხორციელდება, სადაც აქტიურად იქნება ჩართული ჩვენი მუნიციპალიტეტი.

დასასრულს უახლოვდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა, რომელიც მუნიციპალიტეტში, რეგიონში, ქვეყნის მასშტაბით ერთერთი გამორჩეული სამეცნიერო-კულტურული დაწესებულება იქნება და და რომელიც ტურისტების მოზიდვის მნიშვნელოვან კერად აღიქმება. მშენებლობის დამკვეთია სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მშენებლობის საერთო ღირებულება შეადგენს 5.522.185.00 ლარს. რომელსაც აფინანსებს საქართველოს მთავრობა.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი - დირექტორი ტატი ბერელიძე და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი -დირექტორი ერმილე ჩიტალაძე. მუნიციპალიტეტი ზრუნავს სპორტის განვითარებისთვის. ამის დადასტურებაა ის, რომ ჩვენ მხარი დავუჭირეთ წინადადებას ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსს გამოყოფოდა ფეხბურთის სექცია და ჩამოყალიბებულიყო ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „მამისონი", დღეისათვის კი უკვე, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „მამისონი". საფეხბურთო კლუბს შესაძლებლობა ექნება დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტებში. შეძლებს მოიპოვოს დაფინანსების სხვადასხვა წყარო, ითანამშრომლოს კერძო ინვესტორებთან და კომპანიებთან, კლუბის ეფექტურად განვითარების მიზნით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი, თავის მხრივ, კლუბს გაუწევს ეფექტურ ფინანსურ და მეთოდურ დახმარებას მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

ასევე, დაფინანსებული იქნა პროექტები, ევროპის სპორტული კვირეული, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება, რომლის საერთო დაფინანსება 9575 ლარია. თუმცა პანდემიის გამო არ ჩატარდა ისეთი სპორტული ღონისძიებები, როგორებიცაა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გასახარია, რომ ბავშვთა დაინტერესება სპორტული წრეებისადმი დიდია: ფეხბურთის სექციაში 48 ბავშვია, კალათბურთის სექციაში 23 ვაჟი და 25 გოგონა, ჭიდაობის წრეში - 28 ვაჟი, ღების ჯგუფში, რომელიც ამავე სოფელში ვარჯიშობს-17 ბავშვია, სულ 141 ბავშვი. სპორტული სკოლის მოჭიდავეები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. საქართველოს ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, ჩემპიონი გახდა გიორგი ჩიხრაძე 125 კგ წონით კატეგორიაში. მესამე ადგილზე გავიდნენ: ლუკა გუგეშაშვილი 61 კგ, ლაშა მეტრეველი 84 კგ, გიორგი მეტრეველი 79 კგ წონით კატეგორიებში. წარმატებული სპორტსმენების მხარდასაჭერად და მოტივაციის უფრო მეტად ამაღლების მიზანს ემსახურება ის, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ ტურნირებში გამარჯვებული სპორტსმენები წაახალისა ფულადი ჯილდოებით. რუმინეთში გამართულ პირველობაზე სკოლის ასაკის ჭაბუკებს შორის პირველი ადგილი (38 კგ კატეგორიაში) დაიკავა ნიკოლოზ ბუხრაშვილმა, მასთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის სიამაყეა თორნიკე სამხარაძე და სხვა აღზრდილები, რომლებიც საქართველოს სახელით გამოდიან საერთაშორისო ტურნირებზე და წარმატებებს აღწევენ. სამწუხაროდ, გაუქმდა ბევრი დაგეგმილი ღონისძიება.

სამომავლოდ, ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის მასობრიობას, სადაც ჩართული იქნებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. ასევე, მძლეოსნობის განვითარებას. მართალია,

გვაქვს გარკვეული სპორტული ინფრასტრუქტურა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მაინც მოითხოვს გაუმჯობესებას. სწორედ ამიტომაა, რომ ვცდილობთ სხვადასხვა გრანტების

მოძიებას. მაგალითად სულ ახლახანს სლოვაკური დახმარების რესურსიდან მოვიპოვეთ დაახლოებით 40000 ლარის გრანტი, რომელიც გამოყენებულ იქნა სპორტული ინვენტარის შესაძენად, რომელიც დამონტაჟდება სპორტულ კომპლექსში და ამ თანამედროვე აღჭურვილობის გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი, განსაკუთრებით ახალგაზრდების სხვადასხვა სახის სპორტული საქმიანობის განვითარებას.

ტურისტული- საინფორმაციო ცენტრის მიერ აღირიცხა ვიზიტორების რაოდენობა და მათი გამოთვლით, ონის მუნიციპალიტეტში ვიზიტორების რაოდენობამ 2021 წლის სექტემბრის თვის მონაცემებით, შეადგინა 5181 ადამიანი. თუმცა ეს რიცხვი ზუსტად არ ასახავს რა რაოდენობის ვიზიტორი შემოდის წლის მანძილზე, რადგანაც აღრიცხვის მეთოდოლოგია დახვეწას მოითხოვს. ძალიან კარგია, რომ მოიმატა საოჯახო სასტუმროების რაოდენობამ, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად. გასულ წელს მუნიციპალიტეტში აღირიცხებოდა 61 საოჯახო სასტუმრო, ხოლო დღეის მდგომარეობით 70 საოჯახო სასტუმროა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

- ონის საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი
- 16-ზე მეტი ელჩი, მათ შორის ჯი20-ის წევრი სახელმწიფოების: საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის.
- 2 მლნ ლარის მობილიზაცია.
- სლოვაკეთის საგარეო მინისტრის მოადგილის ვიზიტი.
- ისრაელთან თანამშრომლობა - ჰოლოკოსტის მემორიალი.
- თანამშრომლობა დანიასთან, ბულგარეთთან, სლოვაკეთთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან